საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/242 “ 23 ” დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ა. ძაბუნიძის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 9 დეკემბრის №1/221 განკარგულებით ინიცირებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 8 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 5 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 1 პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის და 1 სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის, კერძოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ამირან ძაბუნიძის განაცხადი.

ამირან ძაბუნიძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა მცხეთის რაიონულ, ხელვაჩაურის რაიონულ და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში. მისი სამოსამართლო სტაჟი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მუშაობის გამოცდილება ქნის იმის წინაპირობას, რომ იგი წარმატებით განახორციელებს უფლებამოსილებას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოშიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ამირან ძაბუნიძე გათავისუფლდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2020 წლის 28 დეკემბრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი